



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გულუა მიხეილ ეგნატეს ძე

გულუა მიხეილ ეგნატეს ძე (3. I. 1905, ბათუმი, - 29. IV. 1967, თბილისი), ინჟინერ-არქიტექტორი. საქართვე. დამს. ინჟინერი (1960).

დაამთავრა საქართვე. საინჟინრო-სამშ. ინ-ტი (1932). წლების მანძილზე მუშაობდა ხელმძღვ. თანამდებობებზე სამშ. ორგანიზაციებში - სსრ კავშირის ნავთობის მრეწვ., საქართვე. სახ. მეურნ. საბჭოს ნავთობისა და ქიმ. მრეწვ. სამმართველოს სისტემებში, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორად (1959-67).

იყო რამდენიმე განხორციელებული პროექტის ავტორი. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. კომუნ. მშენებლობის ტექნიკუმში, საქართვე. პოლიტექ. ინ-ტში. 1936-66 იყო საქართვე. არქიტექტორთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავ-რე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ს. კინწურაშვილი
